ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2026 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის
„სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 31 ივლისის №308 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 05 დეკემბრის №2041 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ---- იანვრის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის №308 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების მეორე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“

,,**მუხლი 2.** საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №202504753) გადაცემული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2027 წლის პირველ იანვრამდე“.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის
„სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 31 ივლისის №308 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №536 განკარგულების შესაბამისად, ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს“ გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებებს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადასცეს ქონება 2026 წლის პირველ იანვრამდე. ასევე, ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებები განთავსდეს შესაბამის შენობებში და უზრუნველყონ ქონების მომსახურებისათვის გაწეული დანახარჯების (ელექტრო ენერგიის, წყლისა და დასუფთავების მომსახურების, ბუნებრივი გაზისა და ინტერნეტის) დაფარვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 05 დეკემბრის №2041 განკარგულებით შეტანილი იქნა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №536 განკარგულებაში, კერძოდ ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს“ გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებებს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადასცეს ქონება 2027 წლის პირველ იანვრამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 აგვისტოს №308 განკარგულებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მიეცა თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №202504753) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №1/ქალაქ ქუთაისში, ა. წერეთლის ქუჩა №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეოთხე სართულზე არსებული არსებული არასაცხოვრებელი ფართის (ფართობით 398.56 კვ.მ. (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.156.01.507) სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

ყოველიზე ზემოაღნიშნულისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, ,,ე.ე“ ქვეპუნქტის,

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის №308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ვალერიანე სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე